

# 2019-2020 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრის უნივერსიტეტში დაშვებული სასწავლო პროცესებისათვის

## რეკომენდაციები და ინსტრუქციები

### (სტუდენტებისთვის)

მიმდინარე წლის 10 ივნისიდან თბილისის თავისუფალი და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტების შენობებში სტუდენტთა დაშვება, გადაადგილება და ყოფნა ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის გავრცელების პრევენციისათვის ითვალისწინებს კონკრეტულ წესებს და შეზღუდვებს, რომელთა დაცვა და შესრულება სავალდებულოა ყველა სტუდენტისთვის.

არსებული ვითარების და წესების შესაბამისად, უნივერსიტეტებმა გაიარა შესაბამისი ორგანოს მიერ ორგანიზებული შემოწმება, რომლის თანახმადაც უნივერსიტეტები კონკრეტული ინსტრუქციების და რეჟიმების დაცვით უზრუნველყოფენ შესაბამის გარემოს სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის.

აღნიშნული სტანდარტები მოქმედებს შენობების იმ სივრცეებში, რომლებიც აქტიურია 10 ივნისიდან და ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისთვის.

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ რეკომენდაციებსა და ინსტრუქციებს, რომელთა ზედმიწევნით შესრულება და დაცვა სავალდებულოა:

- სტუდენტები უნივერსიტეტებში ფიზიკურად მოდიან მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული და მათთვის ცნობილი ცხრილის მიხედვით. ასეთ სასწავლო პროცესებს წარმოადგენს ლაბორატორიული ან პრაქტიკული მეცადინეობები და გამოცდები.
- ლაბორატორიულ მეცადინეობებს, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და გამოცდებს შორის შუალედის არარსებობისას, უმჯობესია სტუდენტმა მაქსიმალურად გამოიყენოს შენობის გარე ტერიტორია: შიდა ეზოები, გარე პერიმეტრზე არსებული სარეკრეაციო ზონები.
- სტუდენტებმა უნდა დატოვონ უნივერსიტეტის შენობები ლაბორატორიული ან პრაქტიკული მეცადინეობისა და გამოცდის დასრულებისთანავე.
- სტუდენტებმა რომელთაც აქვთ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ცხელება, ხველა, სუნთქვის გაძნელება) და ამ პერიოდში აქვთ დაგეგმილი შესაბამისი განრიგის მიხედვით ლაბორატორიული/პრაქტიკული მეცადინეობა ან გამოცდა, არ უნდა გამოცხადდნენ უნივერსიტეტებში და წინასწარ უნდა მიმართონ

პროგრამის დეკანს ან/და კოორდინატორებს აღნიშნული გარემოების შეტყობინებით და რაიმე სახის მტკიცებულების წარმოდგენით.

- უნივერსიტეტების ცენტრალურ შენობაში შემოსვლა შესაძლებელია მხოლოდ ორი შემოსასვლელით ცენტრალური ფოიედან - აღმოსავლეთის შემოსასვლელით (ე.წ. ცენტრალური შემოსასვლელი ფოიეში) და დასავლეთის შემოსასვლელი (ე.წ. პარკინგიდან შემოსასვლელი ფოიეში). სხვა შემოსასვლელები ამ პერიოდისათვის არ იმოქმედებს.
- შემოსასვლელებში განთავსებული იქნება დეზობარიერები.
- უნივერსიტეტების შენობებში შემოსვლისას და ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში სავალდებულოა პირბადის სათანადოდ ტარება, მათ შორის ლაბორატორიული/პრაქტიკული მეცადინეობებისას და საგამოცდო სივრცეებში.
- უნივერსიტეტების შენობებში შემოსვლისას სავალდებულოა თითოეულმა სტუდენტმა გაიაროს თერმოსკრინინგი. თერმოსკრინინგი განმეორებით კეთდება ლაბორატორიულ/პრაქტიკულ მეცადინეობაზე და საგამოცდო სივრცეებში შესვლისას.
- თერმოსკრინინგის გავლა საჭიროა შენობაში ყოველი შემოსვლისას.
- თერმოსკრინინგზე დაფიქსირებული ტემპერატურის მონიტორინგს ახორციელებს უნივერსიტეტების შესაბამისი თანამშრომელი და მასზე დაფიქსირებულ ნორმაზე მაღალი მაჩვენებლის შემთხვევაში, იქცევა უნივერსიტეტების მიერ შემუშავებული საგანგებო სიტუაციების გეგმის შესაბამისად.
- თერმოსკრინინგის გავლის შემდეგ, სტუდენტმა უნდა გაიაროს დეზობარიერზე.
- ლაბორატორიული/პრაქტიკული მეცადინეობების და საგამოცდო სივრცეებში შესვლისას სტუდენტი ვალდებულია დაიმუშავოს ხელები შესაბამისი სადეზინფექციო ხსნარით.
- სტუდენტი ვალდებულია, როგორც ლაბორატორიული/პრაქტიკული მეცადინეობის, ისე გამოცდის დაწყებამდე არსებულ რიგში დაიცვას დისტანცია არანაკლებ 2 მეტრისა.
- რეკომენდირებულია სტუდენტის გამოცდის ან ლაბორატორიული/პრაქტიკული მეცადინეობების დაწყებამდე 30 წუთით ადრე შენობის შესასვლელთან ყოფნა, იმისათვის რომ საკმარისი დრო იყოს შენობაში და შესაბამის სივრცეში დაშვების პროცედურებისათვის.
- ლაბორატორიული/პრაქტიკული მეცადინეობების ან/და საგამოცდო სივრცეებში არსებული ზედაპირები და შესაბამისი აღჭურვილობა ყოველი მეცადინეობის ან/და გამოცდის სესიის შემდეგ მუშავდება შესაბამისი ხსნარებით და ხდება მათი დეზინფექცია. სესიებს შორის განრიგით გათვალისწინებულია სპეციალური შესვენებები ამისათვის.
- სტუდენტებს ლაბორატორიული მეცადინეობისას ადგილზე დახვდებით ინდივიდუალური დაცვის დამატებითი საშუალებები საჭიროების შემთხვევაში.
- რესპირატორული ინფექციის ნებისმიერი სიმპტომის გამოვლენისას (ცხელება, ხველა, სუნთქვის გაძნელება), უნივერსიტეტების ტერიტორიაზე მყოფი სტუდენტი ვალდებულია დაუყონებლივ მიმართოს უნივერსიტეტების ექიმს (აუდიტორია #209) ან დაცვის სამსახურის შესაბამის თანამშრომელს ცენტრალურ ფოიეში.

- საექვო სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში, ხდება სტუდენტის იდენტიფიცირება, და აღნიშნული გარემოების შესახებ შესაბამისი სამსახურისთვის შეტყობინება.
- უნივერსიტეტებში ყოფნისას, ლაბორატორიულ/პრაქტიკულ მეცადინეობებსა და გამოცდების სესიებმდე და მათ შორის, სტუდენტები უნდა მოერიდონ თავშეყრას და ერთმანეთთან ახლო ფიზიკურ კონტაქტს. ასეთი თავშეყრის შემთხვევაში სათანადო შენიშვნა და გაფრთხილება იქნება მიცემული.
- უნივერსიტეტების ლაბორატორიებსა და საგამოცდო სივრცეებში არსებული კონდიციონერების სისტემა ჰაერ-ნაკადს იღებს შენობის გარედან, ამდენად მისი მოქმედება დაშვებულია და მიზანშეწონილიც არის შენობების დამატებითი მექანიკური ვენტილაციისათვის.
- ეფექტიანი დეზინფექციის მიზნით სველი წერტილების ნაწილი, რომლებიც არ მდებარეობენ გამოყენებული სივრცეების მიმდებარედ, დაკეტილია.

ვიმედოვნებთ, რომ სასწავლო პროცესის ყველა მონაწილე ზედმიწევნით დაიცავს ამ რეკომენდაციებსა და წესებს, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.